

2021 წლის საგნის გამოცდის შეფასების სქემა ქართულ ენასა და ლიტერატურაში (დაწყებითი საფეხური)

1	ბ
2	ა
3	ბ
4	ბ
5	ა

6.

ა	ბ	გ	დ	ე
6	2	5	3	4

* 1 ქულით ფასდება მხოლოდ ის პასუხი, რომელშიც ყველა აღნიშვნა სწორია.

7.

ა	ბ	გ	დ
3	1	1	2

* 1 ქულით ფასდება მხოლოდ ის პასუხი, რომელშიც ყველა აღნიშვნა სწორია.

8	მაქსიმალური ქულა: 1
	<p>1 ქულა: აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ წინადადებაში სიტყვა ირგვლივ თანდებულის ფუნქციას იძენს.</p> <p>0 ქულა: პასუხი არასწორია ან არ არის მოცემული.</p>
9	მაქსიმალური ქულა: 2
	<p>2 ქულა: რთული წინადადება გადაკეთებულია მარტივ წინადადებად შინაარსის შეუცვლელად. დეტალურად, გრამატიკული ტერმინების გამოყენებითაა აღწერილი გარდაქმნის პროცესი.</p> <p>1 ქულა: რთული წინადადება გადაკეთებულია მარტივ წინადადებად შინაარსის შეუცვლელად, მაგრამ გარდაქმნის პროცესის ახსნა არასწორია / არადამაჯერებელია / არადეტალურია / არ არის მოცემული.</p> <p>0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ რთული წინადადება არასწორად არის გადაკეთებული. გარდაქმნის პროცესის ახსნა არასწორია / არადამაჯერებელია / არადეტალურია; ➤ პასუხი არ არის მოცემული.

10	მაქსიმალური ქულა: 8	
	შეცდომა	უნდა იყოს
	საჩივარს, რაც	საჩივარს, რომელიც
	გადაკვეთ	გადაკვეთთ
	დაზადებია	დაჰზადებია
	რეპროდუქციას ძალიან უფრთხილდებოდა ცნობილი კოლექციონერი, რომლის ..	<ul style="list-style-type: none"> • იმ რეპროდუქციას რომლის • ...რეპროდუქციას, რომლის • ...რეპროდუქციას ძალიან უფრთხილდებოდა, რომლის
	<ul style="list-style-type: none"> • თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით; • მხოლოდ შეცდომის გასწორება, სათანადო დასაბუთების გარეშე, ფასდება 1 ქულით; • სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში შეფასებას აკლდება 1 ქულა. 	

11	დ
12	ბ
13	ა
14	დ

15.1	მაქსიმალური ქულა: 2
	<p>2 ქულა: მოცემულია დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა; სწორადაა იდენტიფიცირებული პერსონაჟი - მამა დათვი / დედა დათვი - და ახსნილია, რა ქმნის ზღაპარში მის სპეციფიკურად საინტერესო, სახასიათო ბუნებას.</p> <p>1 ქულა: პასუხში სწორადაა იდენტიფიცირებული პერსონაჟი - მამა დათვი / დედა დათვი - მაგრამ მის სპეციფიკურად საინტერესო, სახასიათო ბუნების თავისებურებაზე მსჯელობა სქემატურია, ზედაპირულია, შემოიფარგლება 2-3 სიტყვით.</p> <p>0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არ არის ან არასწორად არის ამოცნობილი პერსონაჟი; • მხოლოდ მითითებულია პერსონაჟი - მამა დათვი / დედა დათვი - და მისი მახასიათებელი - გულუბრყვილოა / მიმნდობია / ინტერესიანია და მისთანანი. • პასუხი არ არის მოცემული.

15.2	<p>მაქსიმალური ქულა: 2</p>
	<p>2 ქულა: სწორად არის ამოცნობილი და ამოწერილი შესაბამისი წინადადება ტექსტიდან და წარმოდგენილია დამაჯერებელი მსჯელობა მოვლენების განვითარების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგის თვალსაზრისით.</p> <p>1 ქულა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სწორად არის ამოცნობილი და ამოწერილი შესაბამისი წინადადება ტექსტიდან, პასუხში დაფიქსირებულია ორივე პოზიცია მართებულად, თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია, აპლიკანტი შემოიფარგლება 2-3 სიტყვით. ➤ სწორად არის ამოცნობილი და ამოწერილი შესაბამისი წინადადება ტექსტიდან, საკითხი განხილულია მხოლოდ ერთი პოზიციიდან, მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია, აპლიკანტი შემოიფარგლება 2-3 სიტყვით. <p>0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:</p> <ul style="list-style-type: none"> • სწორადაა ამოწერილი წინადადება, აპლიკანტი არ მსჯელობს ან მსჯელობა მცდარია; • შეცდომითაა ამოწერილი წინადადება, მსჯელობა მცდარია; • წარმოდგენილია მხოლოდ მცდარი მსჯელობა; • პასუხი არ არის მოცემული.
15.3	<p>მაქსიმალური ქულა: 2</p>
	<p>2 ქულა: სწორად არის ამოცნობილი და ამოწერილი ზღაპრის სიუჟეტიდან შესაბამისი ეპიზოდები - თითოეულისათვის თითო ნიმუში.</p> <p>1 ქულა: სწორად არის ამოცნობილი და ამოწერილი ზღაპრის სიუჟეტიდან მხოლოდ ერთი შესაბამისი ეპიზოდი - ან კვანძის შეკვრა, ან კულმინაცია;</p> <p>0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეცდომითაა ამოწერილი ეპიზოდები, არც ერთი არ შეესაბამება კვანძის შეკვრასა თუ კულმინაციას; • პასუხი არ არის მოცემული.
15.4	<p>მაქსიმალური ქულა: 2</p>
	<p>2 ქულა: წარმოდგენილია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა; იდენტიფიცირებული და ახსნილია ზღაპრის იდეა და მწერლის მხატვრული ჩანაფიქრი - სუსტი, ერთი შეხედვით უღონო არსების მიერ საკუთარი თავის სხვათა სასიკეთოდ შეწირვის უნარი, თავის გაღება მშვენიერებისთვის და ა.შ.</p> <p>1 ქულა: იდენტიფიცირებულია ზღაპრის იდეა, მწერლის მხატვრული ჩანაფიქრი - თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია, არ არის დამაჯერებელი დასაბუთება, აპლიკანტი შემოიფარგლება 2-3 სიტყვით.</p>

	<p>0 ქულა: პასუხი არ არის ან მცდარადაა წარმოდგენილი.</p>
15.5	<p>მაქსიმალური ქულა: 2</p> <p>2 ქულა: მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა; იდენტიფიცირებული და ახსნილია სამყაროს თანამედროვე გამოწვევის - გლობალური დათბობის, კლიმატის ცვლილების - კონტექსტი, პასუხში იკითხება ავტორის მიერ შემოთავაზებული პოზიტიური ფინალის თანამედროვე ნეგატიური შინაარსით დატვირთვის, გადააზრების საკითხი.</p> <p>1 ქულა: იდენტიფიცირებულია სამყაროს თანამედროვე გამოწვევის - გლობალური დათბობის, კლიმატის ცვლილების - კონტექსტი, თუმცა პასუხი სქემატურია, არ არის მოცემული დამაჯერებელი დასაბუთება, აპლიკანტი შემოიფარგლება 2-3 სიტყვით.</p> <p>0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ნებისმიერი მსჯელობა, რომელიც თანამედროვე გამოწვევების თვალთახედვით არ გადაიაზრებს ზღაპრის დასასრულს. • პასუხი არ არის მოცემული.

16.1	<p>მაქსიმალური ქულა: 2</p> <p>2 ქულა: მოცემულია დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა; სწორად არის განმარტებული მხატვრული ფრაზა - თანამედროვე პოეტების პოზიციას, უარი თქვან ოლიმპოზე, ღვთისსწორობაზე, ზეადამიანობაზე. მათთვის პოეზია ყოველდღიურობაა, ხელშესახებია და არა განყენებული, ამალღებული, მიუწვდომელი და ბუნდოვანი მოკვდავთათვის.</p> <p>1 ქულა: პასუხში სწორად არის იდენტიფიცირებული მხატვრული ფრაზით გამოხატული სათქმელი, თუმცა პასუხი სქემატურია, არ არის მოცემული დამაჯერებელი დასაბუთება, აპლიკანტი შემოიფარგლება 2-3 სიტყვით;</p> <p>0 ქულა:</p> <ul style="list-style-type: none"> • პასუხი არაადეკვატურია, არასწორია; • პასუხი არ არის მოცემული.
------	---

16.2	<p>მაქსიმალური ქულა: 2</p> <p>2 ქულა: წარმოდგენილია დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა; სწორად არის ახსნილი მეტაფორული გამოთქმის არსი - „თვალსაწიერის / ჰორიზონტის / სააზროვნო დიაპაზონის გაფართოება“; „რკინის ფარდის“ მიღმა გახედვა / თავისუფალი სამყაროს დანახვა, იზოლაციისთვის თავის დაღწევა.</p> <p>1 ქულა: პასუხში სწორად არის იდენტიფიცირებული მეტაფორული გამოთქმის არსი, თუმცა პასუხი სქემატურია, არ არის მოცემული დამაჯერებელი დასაბუთება, აპლიკანტი შემოიფარგლება 2-3 სიტყვით.</p> <p>0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:</p>
------	--

	<ul style="list-style-type: none"> წარმოდგენილია პლაკატური, ლოზუნგის ტიპის ზოგადი ფრაზები - განათლებისკენ მოწოდება, ხალხის დახმარება, რეალობის დანახვება და მისთანანი. პასუხი არ არის მოცემული.
16.3	მაქსიმალური ქულა: 3
	<p>3 ქულა: მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა. აპლიკანტი დავალების პირობაში მოცემულ სამივე კომპონენტს განიხილავს – პოეტის ფუნქცია / პროტესტის განმაპირობებელი ფაქტორი / ლექსის იდეის სათაურთან მიმართების საკითხი;</p> <p>2 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ პასუხში წარმოდგენილი მსჯელობა დავალების პირობაში მოცემულ სამივე კომპონენტს მიემართება თუმცა 2 კომპონენტზე პასუხი - პროტესტის განმაპირობებელი ფაქტორი, ლექსის იდეის სათაურთან მიმართების საკითხი - სქემატურია და ნაკლებდამაჯერებელია დასაბუთება; ▶ პასუხში წარმოდგენილი მსჯელობა დავალების პირობაში მოცემულ ნებისმიერ ორ კომპონენტს მიემართება, მსჯელობა გამართული და დამაჯერებელია. <p>1 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:</p> <ul style="list-style-type: none"> • პასუხში წარმოდგენილი მსჯელობა დავალების პირობაში მოცემულ ნებისმიერ ერთ კომპონენტს მიემართება, მსჯელობა დამაჯერებელია. • პასუხში წარმოდგენილი მსჯელობა დავალების პირობაში მოცემულ ნებისმიერ ორ კომპონენტს მიემართება, თუმცა სქემატურია და არ არის მოცემული დამაჯერებელი დასაბუთება; <p>0 ქულა: შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:</p> <ul style="list-style-type: none"> • მსჯელობა არაადეკვატურია - პასუხში არ არის განხილული დავალების არც ერთი საკითხი; • ძალიან ზოგადად, 1-2 სიტყვით არის იდენტიფიცირებული სათქმელი, თუმცა მსჯელობა არ არის წარმოდგენილი; • პასუხი არ არის მოცემული.

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

17	დ
18	ბ
19	ბ
20	ბ
21	ბ

მაქსიმალური ქულა: 9

I. შინაარსის რელევანტურობა*

ნაშრომი შეესაბამება მოცემულ საკითხს და უპასუხებს დასმულ ამოცანებს.

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაშრომი უპასუხებს დავალების მოთხოვნებს, არ შეეხება არარელევანტურ საკითხებს;
- ნაშრომი უპასუხებს დავალების მოთხოვნებს, თუმცა მოცემულია არარელევანტური ინფორმაციაც.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაშრომი არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს;
- ნაშრომი შეეხება სრულიად განსხვავებულ საკითხს;
- ნაშრომი წარმოადგენს დავალების პერიფრაზს.
- ნაშრომის მხოლოდ მცირე ნაწილი შეეხება მოცემულ საკითხს, მაგრამ არ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს.

**თუ ნაშრომი პირველი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 0 ქულით, ის აღარ გასწორდება სხვა კრიტერიუმების მიხედვით.*

II. დასაბუთება *

ნაშრომში ავტორის პოზიცია წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთებით, მსჯელობა გამყარებულია დამაჯერებელი, ადეკვატური არგუმენტებითა და მაგალითებით.

2 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მოცემულია დავალების ყველა მოთხოვნის შესაბამისი თანმიმდევრული მსჯელობა, ორიგინალური არგუმენტები თუ მაგალითები მოყვანილია მოსაზრებათა უმეტესობისთვის;
- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესაბამისი თანმიმდევრული, დამაჯერებელი მსჯელობა, არგუმენტითა თუ მაგალითით გამყარებულია ყველა მოსაზრება.

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესაბამისი მსჯელობა, არგუმენტითა თუ მაგალითით გამყარებულია მოსაზრებათა ზოგიერთი ნაწილი;
- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესაბამისი მსჯელობის მცდელობა, თუმცა, არგუმენტები თუ მაგალითები ზედაპირული, ერთფეროვანი და არადამაჯერებელია.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მოცემულია დავალების მოთხოვნების შესაბამისი მსჯელობის მცდელობა, არ ფიქსირდება არგუმენტები და ადეკვატური მაგალითები;
- მსჯელობა არ არის ლოგიკური, თანმიმდევრული. მაგალითები თუ არგუმენტები არაადეკვატურია;
- მსჯელობა არ არის მოცემული.

* მსჯელობისას ფაქტობრივი შეცდომის დაშვების შემთხვევაში აპლიკანტს მეორე კომპონენტში დააკლდება 1 ქულა.

III. თხრობის ორგანიზება

ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.

2 ქულა:

- ტექსტი სტრუქტურულად გამართულია - ნაწერში წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა; აზრები მწყობრად არის გადმოცემული, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს;

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მკაფიოდ არის წარმოდგენილი ტექსტის მხოლოდ ორი სტრუქტურული ნაწილი;
- დავალების პირობებს ლოგიკურად უკავშირდება ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთი;
- წარმოდგენილი დასკვნა მკაფიოდ / პირდაპირ არ მიემართება დავალების პირობებში დასმულ საკითხებს;
- ნაშრომში აბზაცები არ არის გამოყოფილი ან არაადეკვატურადაა გამოყოფილი.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაწერის მხოლოდ მცირე მონაკვეთი ეთმობა მსჯელობას (რამდენიმე წინადადება, პატარა აბზაცი ა. შ.);
- მოსაზრებები, ტექსტის უმეტესი ნაწილი ერთმანეთსა და დავალების პირობებს ლოგიკურად არ უკავშირდება;
- ნაწერში წარმოდგენილია ტექსტის მხოლოდ ერთი სტრუქტურული ნაწილი;
- პრობლემა ამოცნობილია, 1-2 წინადადებით არის იდენტიფიცირებული, თუმცა ნაშრომში საკითხის სამსჯელოდ დასმას / წამოჭრას ვერ ვხვდებით.

IV. სტილი, ლექსიკა

აზრები ცხადად, ნათლადაა გამოთქმული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.

2 ქულა:

- ნაშრომში გვხვდება ერთი-ორი უმნიშვნელო სტილური ხარვეზი, ტექსტი ლექსიკურად მდიდარია, აზრი მკაფიოდ და გამართულად არის გადმოცემული, გამოყენებულია საკითხის შესაფერისი ლექსიკა და სტილი.

1 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაშრომში გვხვდება რამდენიმე სტილური ხარვეზი. გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს;
- ნაწერი ლექსიკურად მწირია, თუმცა, გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაწერი ლექსიკურად ღარიბია;
- დაშვებულია სტილური ხარვეზები;

- ნაშრომში გარკვეული მონაკვეთი სტილურად გაუმართავია;
- გამოყენებულია არაადეკვატური ლექსიკა / სტილი.

V. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია

ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

2 ქულა:

- დაშვებულია ერთი-ორი უმნიშვნელო ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომა, არ არის დაშვებული სინტაქსური შეცდომა, დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

1 ქულა:

- დაშვებულია რამდენიმე სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომა, ძირითადად დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

0 ქულა:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- დაშვებულია სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები; ნაშრომში დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები;
- ნაშრომში მრავლად გვხვდება პუნქტუაციური შეცდომები, რაც ცხადად მიუთითებს ენის სინტაქსური კონსტრუქციების არცოდნაზე.

ნაშრომი არ გასწორდება, თუ:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- შეიცავს ინფორმაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია აპლიკანტის პიროვნების იდენტიფიცირება - სახელსა და გვარს (რეალურსა თუ გამოგონილს), მეტსახელს, ხელმოწერას და ა.შ.
- შესრულებულია ისეთი ხელწერით, როგორც წაკითხვაც შეუძლებელია.

ნაშრომი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას. სხვა შემთხვევაში ის გასწორდება მხოლოდ I და II კრიტერიუმების მიხედვით.

გაითვალისწინეთ!

- თუ სწორ პასუხთან ერთად აპლიკანტი არასწორ პასუხსაც მიუთითებს, შეფასდება 0 ქულით;
- თუ დავალებებზე პასუხის გაცემისას დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, აპლიკანტს დავალების შეფასებისას დააკლდება 1 ქულა.